საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 3 22 0001172274

27/09/2022

სსიპ - სასწავლოუნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ბიზნესის ადმინის ტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო)სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3პუნქტისა და „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს

გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.3 აკრედიტაციის დებულების 27[5] მე-7[1] პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2022 წლის 15 აპრილის №05/1602 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №391583, 15/04/2022), წარმოდგენილ იქნა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სააკრედიტაციო განაცხადი ,,ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე. 2022 წლის წლის 18 აპრილს ცენტრმა დაწესებულებას №401843 წერილით დაუდგინა ხარვეზი, რომელიც დაწესებულებამ გამოასწორა 2022 წლის 28 აპრილს №06/1710 (ცენტრში რეგისტრაციის №429777, 28/04/2022) წერილით.

2.2. ცენტრის 2022 წლის 10 მაისის № 463295 ბრძანების საფუძველზე სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2022 წლის 12 ივნისის №628038 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა 2022 წლის 27 ივნისს, ხოლო 2022 წლის 22 აგვისტოს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები,	√			

მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2022 წლის 13 სექტემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, თუმცა დაამატა გარკვეული რეკომენდაციები.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 15 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:
1. დაკმაყოფილდეს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის საზღვაო აკადემიის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ბიზნესის ადმინისტრირების““ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 2024 წლის 31 დეკემბერამდე მიენიჭოს აკრედიტაცია, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2022 წლის 27 სექტემბრის №**1172267** სხდომის ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №1).

4. საბოლოოდ, აკრედიტაციის საბჭოს მიერ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სწავლის შედეგების კურიკულუმის რუკაში, კურსებით სწავლის შედეგების მიღწევის დონეების (გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცება) ლოგიკის დახვეწა და გადახედვა და კურსის შინაარსთან შესაბამისობაში მოყვანა;
2. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდირებულია თითოეული პროგრამის სწავლის შედეგისთვის განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები და შეფასების პერიოდულობა
3. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში ცალკე გაიწეროს კონცენტრაციის სწავლის შედეგები
4. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, რეკომენდებულია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კომპონენტებს დაემატოს მარკეტინგის (მაგალითად, სტრატეგიული მარკეტინგი, ან მომხმარებლის ქცევა ან ციფრული მარკეტინგი და ფინანსების (მაგალითად, ინვესტიციების ანალიზი ან მმართველობითი აღრიცხვა ან საერთაშორისო ფინანსები) მიმართულების საგნები საგნები. რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,პროექტების მენეჯმენტი“ დამატება ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების კომპონენტებში.
5. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად განისაზღვროს ყველა ძირითადი სფეროს სასწავლო კურსები.
6. რეკომენდებულია სასწავლო კურსების „საერთაშორისო ბიზნესი“ „ელექტრონული ბიზნესი“ და „ბიზნესის კომუნიკაციები“ შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სამაგისტრო საფეხურის დონესთან.
7. რეკომენდებულია, პროგრამა გაძლიერდეს ადამიანური რესურსების და მმართველობითი აღრიცხვის საკითხებით
8. რეკომენდებულია ორგანიზაციებთან მემორანდუმების გაფორმებისას მითითებულ იქნას სტუდენტების რაოდენობა, რომლის მიღებასას კომპანია აპირებს სტაჟირებისას, ასევე მემორანდუმებში მკაფიოდ დაფიქსირდეს ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები.
9. რეკომენდებულია, სტუდენტთა ინფორმირება საერთაშორისო სამეცნიერო ელ-ბაზების შესახებ;
10. რეკომენდებულია გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომების შესრულებაზე პერიოდული მონიტორინგი.

რჩევები

1. სასურველია, შეფასების მარეგულირებელ წესში მიეთითოს საგამოცდო ნაშრომის შეფასების დრო;
2. სასურველია, პლაგიატზე ნაშრომის შემოწმებისას სტუდენტებს ჰქონდეთ დამოუკიდებლად საცდელი ვერსიის ატვირთვის შესაძლებლობა პლაგიატის პროგრამაში.
3. სასურველია, თანამედროვე ლიტერატურის შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის,
4. სასურველია, სწავლების თანამედროვე მეთოდების არამარტო სილაბუსებში არამედ პრაქტიკულად დანერგვა და „ქეის სთადის“ პრაქტიკულად განხორციელება
5. სასურველია, საჯარო ლექციების ჩატარება დარგობრივი მიმართულებით სტუდენტებთან შეთანხმებით მათთვის ხელსაყრელ დროს.

6. სასურველია, კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციის არხების გაძლიერება რათა მათ მიეცეთ სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა, მაგალითად ესემეს შეტყობინებების გაგზავნა;
7. სასურველია, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება მიმართულების შესაბამისი პროგრამების შეთავაზება: prince2 და SAP
8. სასურველია, სტუდენტები ხელმძღვანელის მხრიდან იყვნენ ინფორმირებულნი აკადემიური წერის სტანდარტებთან დაკავშირებით;
9. სასურველია დაწესებულებამ განიხილოს საუკეთესო თანამშრომელთა წახალისების შესაძლებლობა.
10. სასურველია გადაიხედოს საბიბლიოთეკო ფონდი და განახლებული იქნას კანონმდებლობა. ასევე, მიეცეს წვდომა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე“ ბიბლიოთეკის თანამშრომელს, ან სისტემატიურად მიეწოდოს განახლებული, კოდიფიცირებული სამართლებრივი აქტები.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 13 სექტემბერს.
6. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი, 2023 წლის 13 სექტემბერი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით



დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	- -
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	- -
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	- -
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ბათუმი 6010, საქართველო, რუსთაველის ქ. N53
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	- -
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2022 წლის 13 სექტემბერი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	2023 წლის 13 სექტემბერი
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2024 წლის 31 დეკემბერი